№ 208 3 ქრისტეშობისთვე, შაბათი 1866—1877 3 ქრისტეშობისთვე, შაბათი № 208

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ერთელ დღე ოთხშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა** — ერთი ასოებით ასოზე—2 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## მომავალ 1878 წელს გაზეთი

## „დროება“

**გამოვა იმგვარივე პროგრამით და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,**

გარდა ოთხშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

### ხელის-მოწერა

**თ ფ ი ლ ი ს შ ი**—„მიიღება **დროების**“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

**გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა** ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

### ფასი გაზეთისა

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . | 8 | მან. | „ კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . | 4 | „ | 50 „ |
| ოთხის თვისა . . . . . | 3 | „ | „ „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია **უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.**

## ტელეგრამმები

**პარიჟი, 20 ნოემბერს.** „ქელნის ბაზეთმა“ მიიღო ვენიდამ ტელეგრამმა, რომელშიაც იწერებიან, **რომ** რუსეთი თანახმა გახდება დროებით მორიგებაზე, თუ ოსმალეთი სილისტრიის, **რუსჩუკისა** და ვიდინის ციხე-ქალაქებიდამ გამოიყვანს თავის ჯარებსო.

ამავე გაზეთს აცნობებენ, **რომ** რუსეთმა შემდეგი მორიგების პირობები წარუდგინა ოსმალეთსა და ეს პირობები ბერმანიამ და ავსტრიამაც კარგ პირობებად აღიარესო:

„თავისუფლად გასელა-გამოსელის ნება მიეცეს **რუსეთის** ყოველგვარ ხომალდებს **დარდანელის** წყალში; **ოსმალეთმა** **სომხეთი** უნდა დაუთმოს **რუსეთს**; **ოსმალეთმა** უნდა გაანთავისუფლოს **ბულგარია, რომლის** მთავრადაც დაინიშნება **რომელიმე** ხელმწიფის (გარდა **რუსეთისა**) სახლის-შვილი; **სერბიისა** და **რუმინიის** სრული დამოუკიდებლობა **ოსმალეთისაგან**; **ჩერნოგორიას** უნდა **დაუთმოს ოსმალეთმა** ზოგიერთი თავის **მიწები**; **ავსტრიას** მიეცემა **ბოსნია** და **ზერეგოვინა**.

**ამბობენ, რომ** ეს ამბავი **რწმუნების** ღირსი ამბავი არისო.

**ლონდონი, 30 ნოემბერს.** ბაზეთი „Times“ ამბობს: **ინგლისი** თავის **დღეში** არ **გაერევა** **რუსეთსა** და **ოსმალეთს** შუა **ბრძოლაში** იმისთვის, **რომ** **იმან** **ოსმალეთის** **ევროპის** **პროვინციები** **დაიცვას**. **ამის** **გამო** **ურიგო** **არ** **იქნება**, **რომ** **ეს** **გარემოება** **ბრიტანიის** **მმართებლობამ** **პირ-და-პირ** **გამოუცხადოს** **ოსმალეთს**.“

**მეორე ინგლისური** **გაზეთი** (**სამინისტროს** **ორგანო**) „Morning Post“, **ამის** **წინააღმდეგ**, **ძალიან** **სასტიკი** **სიტყვებით** **მოიხსენიებს** **რუსეთსა** **და** **ამტკიცებს**, **რომ** **რუსეთის** **გამარჯვება** **დიდს** **ვნებას** **აძლევს** **ინგლისსაო**.

**რაგუზა, 30 ნოემბერს.** ვილაკაებს გაენეზრახა **ჩერნოგორიის** **მთავრის** **ნიკოლაის** **მოკვლა**; **მაგრამ** **ვერ** **მოახერხეს**. **დაჭრილია** **მხოლოთ** **რამდენიმე** **კაცი**, **რომელნიც** **მთავრის** **სადგომს** **უყარაულებდნენ**.

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

**ბ**ოლოანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია **პარიჟიდამ** **მიღებული** **დეპეშა**, **რომელიც** **გვატყობინებს**—**თუ** **რა** **პირობით** **მოურიგდება** **დროებითა** **და** **რა** **პირობით** **სამუდამოდ** **რუსეთი** **ოსმალეთისა**.

**ეს** **პირობები**, **როგორც** **ხედავთ**, **ისეთი** **მძიმეა**, **რომ** **უეჭველია**, **ოსმალეთი**, **თუმცა** **დამარცხებულად** **სთელის** **თავის** **თავს**, **მაგრამ** **ჯერ-ჯეროობით** **ის** **ამაზე** **მაინც** **არ** **დათანხმდება**.

**და** **არა** **თუ** **ოსმალეთი**, **შესაძლებელია**, **რომ** **ამაზე** **თვით** **ინგლისმაც** **გამოიდოს** **თავი**, **რადგან** **იმ** **პირობებში**, **სხვათა** **შორის** **მოხსენებულია**, **რომ** **ოსმალეთმა** **სომხეთი** **უნდა** **დაუთმოს** **რუსეთისაო**.

**მაგრამ** **ვნახოთ**—**როგორ** **დაიწყება** **და** **როგორ** **გათავდება** **ეს** **მორიგებაზე** **მოლაპარაკება**...

—

**რუსულ** **გაზეთს** „Новое Время“-**ში** **დაბეჭდილია** **შემდეგი** **ტელეგრამმა** **24** **ნოემბერს** **სტამბოლიდამ** **მიღებული**:

„**ოსმალეთი** **აპირებს** **მაჰმადის** **მწვანე** **ბაირაღის** **გაშლას** **და** **სამღვთო** **ომის** **გამოცხადებას**. **ამბობენ**, **რომ** **ხონთქარის** **ფირმანს** **ამ** **საგნის** **შესახებ** **აზიის** **და** **აფრიკის** **ყველა** **მაჰმადიანებს** **გამოუცხადებენო**. **ეს** **გადაწყვეტილება** **გუშინ** **მიიღეს** **სტამბოლში** **მინისტრების** **კრებაზედ**, **რომელსაც** **თვითონ** **ხონთქარიც** **დაესწრო**.“

—

**მეორე** **მხრით** **ლონდონის** **გაზეთს** „Times“-**ში** **დაბეჭდილი** **კორრესპონდენცია** **სულ** **ამის** **წინააღმდეგ** **ამბავს** **გვაცნობებს**. **ამ** **კორრესპონდენციაში** **იწერებიან** **სტამბოლიდამ** **24** **ნოემბერსვე**:

„**პოლიტიკური** **საქმეების** **მცოდნე** **პირებისაგან** **გავიგონე** **მე** **აქ**, **რომ** **რო**

გორც კი რუსები არზრუმს აიღებენ და ადრიანოპოლის გზას დაადგებიანო, იმ წამსვე ოსმალეთი მორიგებაზე ჩამოაგდებს ლაპარაკსო, და თუ მტერმა ერთობ მძიმე პირობები არ მოგვთხოვა, ეცდებაო, რომ, ევროპიის სახელმწიფოების დაუჭერებლად, შეურიგდეს იმასაო.“

—

„მოსკოვის უწყებების“ ყარსელი კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში დეპეშით, რომ ნოემბრის 20-დამ ჩვენმა ჯარებმა დაუშინეს არზრუმს ყუმბარებიო, ოსმალლებმა მიატოვეს ქ. თოქმაჯი და ეს ქალაქი შემდეგ ჩვენ დავიჭირეთო.

—

ამავე გაზეთში ართაანიდამ იწერებიან, რომ ნოემბრის 23-ს ამ ქალაქში მისულა ღენ. ქამაროვი თავის ატრიადით და აქედამ არდანუჯის გზით პირდა-პირ ბათუმისაკენ აპირებს გამგზავრებასაო.

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში 22 ნოემბერს იწერებიან თფილისიდამ:

„აქაურ სამხედრო საქმეების მცოდნე პირებმა დამარწმუნეს მე, რომ რუსებმა მიზიდეს არზრუმის ასაღებად 280 ციხის და მინდვრის ზარბაზანიო.“

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად სოღანლუღის მთებზე ძალიან დიდი თოვლი სდევს და ყარსიდამ არზრუმამდინ საზოგადოთ უამისოთაც ცუდი გზებია არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ეს რიცხვი ზარბაზნებისა ერთობ გაზვიადებული უნდა იყოს.

—

პეტერბურღის და მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენცია „მეინის საააგენტოსაგან“ მიღებული თფილისიდამ:

„თუმცა ჩვენი ჯარების გამარჯვებას და განსაკუთრებით ყარსის აღებას დიდი გავლენა ჰქონდა კავკასიის მაჰმადიანების დამშვიდებაზედ; მაგრამ ამათ სრულიად დამშვიდებას და დაცხრომას ჩვენ ომის გათავებამდინ არ უნდა მოველოდეთ.

„კავკასიის მთიული მაჰმადიანები ამბობენ, რომ ჩვენც ძალიან კარგათ ვიცითო, რომ რუსეთი ძლიერიაო, რომ ჩვენ ვერას გავიტანთო; მაგრამ ოსმანიანებას არ გვაძლევსო, რომ გულ-ხელდაკრებილი ვისხდეთ შინ და თამაშას შევეყურებდეთ, მაშინ, როდესაც ჩვენი თანა-მორწმუნე მაჰმადიანები იბრძვიანო; რაც უნდა იყოს ჩვენ იმით მაინც ვეხმარებით ოსმალებს, რომ რუსებს ჯარი დაუბანდეთ აქაო და ბრძოლის ველზე ვერ აგზავნიანო.“

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ნემეცური გაზეთი „Tagblatt“ გვაცნობებს, რომ რუსის და ოსმალოს მმართებლობას შუა ამ ჟამად ტყვეების გაცვლაზედ არის მოლაპარაკებაო. რუსის მმართებლობას, ამ გაზეთის სიტყვით, ძალიან გულით უნდა, რომ ზედეს კაპიტანი პუსჩინი გაათავისუფლოს ოსმალოს ტყვეობისაგან და მარტო იმაში თექვსმეტ აფიცარს აძლევს, რომელიც კავკასიის არმიამ დატყვევა მცირე აზიის ბრძოლის ველზედაო; მაგრამ ოსმალეთის მთავრობა არ თანხმდებაო.

—

ბერლინის გაზეთს „Post“-ში იწერებიან ბელგრადიდამ:

„ოსმალეთი საჩქაროთ აგროვებს სერბიის სამზღვარზე თავის ჯარებს. მარტო ნოვო-ბაზარში ჰყავს ამ ჟამად იმას 13,000 კაცი, და ერთი ამდენიც სხვა ადგილებში.

„სერბიას, როგორც ეტყობა, არა აქვს იმედი, რომ შეიძლოს თავის ჯარებით გაუძლოს მტერს, და ამიტომ ხან ჩერნოგორიას მიმართა და ხან საბერძნეთს სთხოვა დახმარება; მაგრამ ორივემ უარი შემოუთვალა.

„ახლა ამ დღეებში მოვიდა აქ რუსის არმიიდამ რამდენიმე შტაბის აფიცერი. ამათ ბრძანება აქვთ თავიანთ მთავრობისაგან, რომ დახედონ სერბიის სამზღვრებზე ოსმალეთის ჯარების სიმაგრეები; შემდეგ ესენი სერბიის შტაბში იქნებიან ჩარიცხულნი.“

—

„ხალხთა-მორის ტელეგრაფის საააგენტოში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა:

# ფელეტონი

## ურიების დაბადება და ამაღლება

სექტემბრის ცამეტს იწყება ურიების ამაღლება და თავდება ცხრამეტს სექტემბერს, დაბადების დღეს.

ამ დღესასწაულისთვის ყოველი ურია თავის სახლის ეზოში გაიკეთებს ხოლმე პატარა სალოცავსა, რომელსაც შემოსავენ ნაირ-ნაირის მწვანე ხეხილებით და ფოთლებით, და მთელი კვირა სხედან იქა და ასრულებენ თავიანთ წესსა.

ამაღლების უკანასკნელ დღეს მოდის მათი დაბადება, რომელსაც უფრო დიდის მოზეზადებით უნდა დაუხვდნენ.

დაბადებისთვის იგინი ემზადებიან თორაში წასასველელათ დიდი თუ პატარა, თორას რთავენ ბალახ-ბულახებით და იქ ასრულებენ თავიანთ დაბადებასა.

ურიების თორა ამ ჟამად იმ სახლში არის გამართული, სადაც წარსულს საუკუნეში ერთი ჩვენი ბატონის-შვილი სცხოვრებდა და ამ უსანასკნელს დროს კი სომხების ხელში ვნახეთ და სახელიც სხვა დაურქმევიათ დარბაზისთვის, „მუნთუანთ დარბაზი“. დარბაზი მშვენიერი რამ არის თავისის შინაგანი შენობაებით და სენაკებითა. სასიამოვნო სანახავია ჩვენი წარსული საუკუნის მოყვარეებისთვისა ეს დარბაზი...

დანიშნულ დროს მოვიდნენ ურიები. ხახამ-რაბბებმა გაალეს კიდობანი და გამოიღეს ოთხი მშვენიერი კუბო ხავერდით მოთოული და მრავალი ყვავილებითა; თითო კუბოში თითო დაბადება იდო.

ბამოსვენების შემდეგ ხახმებმა თორაში შეიდჯერ შემოატარეს და მერე დაასვენეს და დაიწყეს ლოცვა და შემდეგ თამაშა (ხტომა).

ერთ ჩემ გვერდზე მდგომ ურიასა ვკითხე—თუ რისთვის შემოატარეს ეს კუბოები-მეთქი და ან გესმისთ ურიული, რომ კითხულობთ? მან შემოტარებისა კი არაფერი მიპასუხა და ურიულს წიგნებზე კი ბევრი:

— ბარე არ გვესმის, მაგრამ რა ვქნათ!

— რატომ ქართულათ არა სთარგმნით?

— ქართულს ენაზე თარგმანს ჩვენი რაბბინი ნებას არ გვაძლევს, რადგანაც ჩვენი დიდი რაბბინი რუსის ურია არის და გვეუბნება, რომ ჩვენი რჯული ერთი არისო და ენაც უნდა ერთი იყოსო, მოშალეთ ქართულს ენაზე ლოცვაცა და ერთმანეთში წიგნის მიწერ-მოწერაცაო! და აბა ხომ მოგეხსენებათ, ჩვენ რა შეგვიძლიან; თუმცა ჩვენს ურიებში ძველათ ნათარგმნი ლოცვის წიგნებიცა გვაქვს, რომლებიც ადრე ჩვენ მამა-პაპებს ქართულათ უთარგმნიათ; მაგრამ სუყველა ისინი უქმათ აწყვია...

— ამ დღეს ჩვენში ადრე ქართულათ ლხინობდა ხალხიო, განაგრძო ჩემმა ურიამ. როცა დაბადებას გამაიტანდნენ, ქართულათ დაიწყებდნენ ძახილსა: „დაბადებას მოვესწარით, ნეტაი ჩვენ გახარებასაო!“ მაგრამ ეხლა კი უყურეთ... ადრე აქ ქალაქში ქადაგებაც შაგვეძლო ქართულს ენაზე და ქადაგებდნენ კიდეც ჩვენი ხახამ-რაბბები, მაგრამ ახლა ესენიც აღგვიკრძალეს.

სხვა ქვეყნებშიაც იმ ენაზე ლოცულობენ ურიებიო, მითხრა ბოლოს იმან, რა ენაც ესმისთო, ფრანცუზების ურიები ფრანცუზულს ენაზედ, ნემეცის—ნემეცურზედაო და სხვა., და ჩვენ კი ასე გამოსხლეტილი ვართო.

ამ გვარად ჩვენს ლაპარაკში გაათავეს კიდეც ლხინი.

შემდეგ დაბადებას დაუწყეს კოცნა, ჩაწყეს კიდობანში, დაკეტეს და გამოვიდნენ თორიდამა ლოცვით, ყვირილით და ქლავი-ქლუვითა.

ზ. მოაწმინდელი

შა 25 ნოემბერს ვენიდამ მიღებული:

„მომეტებული ნაწილი რუმინიის არმიისა გაგზავნეს პლევნოდამ ვიდინისაკენ იმ ჰაზრით, რომ აქ სერბიის არმიას შეუერთდნენ და ერთად შემოერტყნენ გარს აქ ციხე-ქალაქსა. ამ ჯარის უფროსად დანიშნულია რუმინიის ღენერალი ქაპი.

„ჯარის გარდა ვიდინისაკენ გაგზავნეს აგრეთვე ორი რუსის ჯავშნიანი ხომალდი, რომელიც დღემდინ ნიკოპოლთან იყვნენ დუნაიში გაჩერებული.“

—

ლონდონის გაზეთს „Times“-ში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 24 ნოემბერს ვენიდამ მიღებული:

„ავსტრიის მმართებლობამ ურჩია სერბიას, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ნუ დაიწყებს. ეს მე ნამდვილის წყაროდამ შევიტყე.

„თქვენ გეცოდინებათ, რასაკვირველია, რომ ამისთანაე რჩევა და წინადადება ავსტრიას გარდა, ჩვენმა (ინგლისის) მმართებლობამაც მისცა სერბიას.

„ამბობენ, რომ სწორეთ ამ რჩევის მიღების შემდეგ, შეჩერდა სერბია და თავის ჯარს, რომელიც ოსმალეთის სამზღვარზე გადასვლას ემზადებოდა, ბრძანება გაუგზავნაო, რომ, სანამ ახალი ბრძანება არ მოგვიდეთ, სამზღვარზე ნუ გადახვალთო.“

# საქართველო

## „დროების“ კორრესპონდენცია

**თელავი**, 25 ნოემბერს. ამ ჟამათ ისეთი მშვიდობიანობა ჰსუფევს თელავის უეზდში, რომ ყოველი დრუჟინები და ორი კამანდა—თელავისა და სიღნაღისა, რომლებიც ალაზანს გაღმა იდგნენ აჯანყებული დიდოების გზების შესაკერელათ, დაითხოვეს და თავ-თავის ადგილს მიაქციეს.

სიძვირე თავისას არ იშლის და ყოველივე საჭმელ-საჭმელი დღე-და-დღე ფასს იმატებს. სხვათა შორის გირვანქა ნავთი ისევ აბაზათ იყიდება; სხვა ქალაქებში კი შესანიშნავი იაფობა არის ამ საგანზედ.

იქნება ასეთი შეუბრალებელი სიძვირე არ იქნებოდა ჩვენს თელავში, რომ ვაჭარი ხალხის ყურის-მგდებელი გვყვანდეს ვინმე. აქამდის ბაზარნიკს ის გავლენა ჰქონდა ვაჭრობაზედ, რომ ყველაფერი ტაქციით იყიდებოდა; ეხლა კი ტაქცია ხან სულ არ არის და თუ ხანდისხან დასწერენ, ისიც მხოლოდ ფორმის დასაცველად და არა მისთვის რომ იმის მიხედვით იყიდებოდეს რამე. თითქმის ყოველიფერი მოვაჭრეების ნებაზედ ფასობს და იყიდება.

ამ უწესოებას ეხედავთ შიგ შუა თელავში.

ახლა გარეთ გავიხედოთ რა ამბავია. გზები გაფუჭებულია, ბოგირები ჩამტვრეული, ქუჩები უწმინდურებით სავსე, ბაზრის გზა ატალახებული. პოლიციის წევრები მუდამ ჰხედავენ ამას, მაგრამ კი ყურს არ იბერტყამენ და თუ როდისმე მათგანს ეტყვი რასმე ამაზედ, მაშინვე გიპასუხებთ: ჩემზედ უფროსები სხვანი არიანო! მაგრამ არც ეს უფროსები არიგებენ რასმე და სულ სძინავთ....

ბუშინ ერთმა გლეხმა ილაპარაკა, რომ ნაფარეულში ჰყოლიათ ერთი მასწავლებელი 300 მანეთი ჯამაგირით. ჯამაგირი თურმე უკლებლად ეძლევა; მაგრამ იმის სამაგიერო სარგებლობა კი არა მოუტანია-რა სოფლის შვილებისათვის. წინააღმდეგ ამისა უფრო ზარალი მიუცია იმით, რომ სასწავლებლისათვის დაქირავებულს სახლში წელიწადში იხდის სოფლის საზოგადოება 56 მანეთს და შიგ კი სწავლა არ არის. ამ წლის განმავალობაში არცერთი შეგირდი არ ჰყოლია შკოლაში; მაგრამ ეს მასწავლებელი იმისთანა მოხერხებული კი ყოფილა, რომ ამ ცოტა ხანში იმ სასწავლებლის დასახედავათ მისულა იქ დირექტორი და რომ მასწავლებელი არ გამოსულიყო იმასთან პირ-შავათ, ამის გამო იმას, ერთი დღის წინათ დირექტორის მოსვლამდის, შეეგროვებინა ის შეგირდები, რომელთაც უსწავლიათ შარშან და ისინი უჩვენებია წლეეანდელ მოსწავლეებათ და როდესაც ეს ზედამხედველი წამოსულა იქიდგან, შეგირდები თავ-თავის სახლში წასულან და დღესაც სასწავლებელი უქმათ არის.

ამის მოამბემ მითხრა, საზოგადოება ცდილობსო, რომ ხსენებული მასწავლებელი, როგორც უსარგებლო კაცი, იქმნეს გადაყენებული და მის მაგივრად სოფლის ნაფარეულის შკოლისათვის სხვა უკეთესი მასწავლებელი მოიპოვოსო.

მოამბე

# საგაასო

## ოზურგეთის კორრესპონდენტს

(„დროება“, № 186)

ბული არ მითმენს, უფ. რედაქტორო, რომ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა იმ შეურაცხყოფაზედ, რომელიც მიაყენა დ. ქვირკელამ პატივცემულ „დროების“ გაზეთში —ლანჩხუთის სოფლის აზნაურებთ და გლეხებთ და ეგრეთვე ოზურგეთის უეზდის მომრიგებელ მსაჯულს, რომელმანც განარჩია საქმე საცილო შორის მ. ქვირკველიასა და ხარაზის ქალანდარაშვილისა ცხენის თაობაზედ.

ჯერ ცხენის თაობაზე დაეა. ეს საქმე ასე იყო: ერთი წელიწადია მას—უკან, რაც ქალანდარაშვილს მოჰპარეს ცხენი. ამ ცხენს მოჰგონებოდა თავის ძველი საბალახო და მოვიდა. მთელმა ლანჩხუთის სოფელმა დაამოწმა, რომ ის ცხენი ეკუთვნოდა ქალანდარაშვილს. მ. ქვირკველიამ, რადგანაც ეს ცხენი ჰგავდა მისს, სამის წლის წინეთ დაკარგულს ცხენს, იშოვნა მოწმებათ თავის გვარის კაცები, რომელთაც ცრუფიცობისათვის, რაც ძრიელი ხატი იყოს, მაინც ვერ შეაშინებს, და დაიწყო სუდში საქმე, რომელიც, როგორც უმართლო,—წაგო.

ქორრესპონდენტს შეგიძლია მოტყუება ამ საქმეში იმ პირთა,რომელთაც არ იციან გარემობა, მაგრამ ლანჩხეთში სცხოვრებს 600 მოსახლე კაცი, იმათ რაღას ეტყვის?

„ლანჩხუთელი გლეხნი აზნაურთ გვანან ხასიათითო, არ შრომობენო; ამის გამო გაერცელებულია მათ შორის აგრეთვე აზნაურთ შორდანიებთ შორის მოტყუება, ტაციობა და ქურდობაო.“

ლანჩხუთელი გლეხ-კაცობა მეც დაგერწმუნები, რომ აზნაურთ ჰგვანან. მთელს ბურიაში არ არის ისე კარგათ დაბინავებული გლეხ-კაცობა, როგორც ლანჩხეთში. ყველას, საზოგადოთ ჩინებული სახლ-კარი აქვს, ყველა სუფთად ჩაცმული და წამოსადეგი შესახედავია, ყველას საკმაო პირუტყვი ჰყავს და ყველას საკმაო და მეტიც ნამუშევარი მოსდის. მე ვგონებ თუ შრომის-მოყვარენი არ იყვნენ, ასე შედარებით კმაყოფილნი არ იქნებიან ესენი.

თავის ქება არ არის საკადრისი; მაგრამ იძულებული ვარ ვსთქვა: მთელი ბურია დაამოწმებს, რომ არავინ აზნაურთ შორდანიებთაგანნი ქურდობაში არასოდეს შემჩნეული არ ყოფილა. თუ ისინი არ არიან დიდი მშრომელნი, იმდენად მაინც კი შრომობენ, რომ სარჩოს არავისგან თხოულობენ, ყველანი საკმაოთ დასახლებულები არიან, პურმარილის მოყვარენი, ჭირში და ლხინში თავის მეზობლების მონაწილენი. ხოლო მცხოვრებნი ს. ლანჩხუთში ქვირკველიები თუ რამდენათ კარგი ზნეობისა და თვისების და რაოდენ შრომის-მოყვარენი არიან, ამას დაგვიმტკიცებს შემდეგი: 1) ბიორგი ქვირკველიას ქურდობისათვის ღირსება ჩამოხადეს, 2) მელიტონ ქვირკველიას სიმინდის ფქვილის ქურდობისათვის ერთის წლის ტუსაღობა გაუჩინა სუდმა, 3) იოსებ ქვირკველიაც ერთს სახლში დაიჭირეს ქურდობაზედ; სახლის პატრონი გაუპატიურებას უპირებდა, მაგრამ მეზობლებმა

იპატიეს; 4) კონსტანტინე კვირკველია ქურდობაზედ დაჭერილი, მამასახლისმა ბაწრით შეკრული წარუდგინა მთავრობას და 5) ზოგიერთ კვირკველიას ოჯახს ქათმის დასაპურებელი სიმინდის კაკალი არ გადარჩება. მე ვფიქრობ ყველა ამის მიზეზი არის სიზარმაცე და ცუდი სისხლის დაბუდრება ძარღვებში....

აზნ. ილარიონ, იგივე ბიჭია ჭორდანია

ს. ლანჩხეთი, 25 ნოემბერს

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

Ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

Ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი Ონანოვი.

Ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12 მდინ—დოქტორი Ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დ-კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი Შაა კოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, Ალბანუსის და Ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება. რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.


# განცხადებანი

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად **მელანს** და აგრეთვე ეყიდი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **მაზს** რომ **წყალი ვერ გაატანს.** ერთს ბოთლს მელანს ეყიდი უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმმართოს: Არწროუნის ქარვასლაში, № 85

სტეფან ხუდადოვი

# სასესხებელი

მიეცემა

## ფული

იმ პირობით რომ მოვალემ **მუდამ კვირას ანუ თვეში** გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, ზორონკოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე ღილის 9 საათიდამ ნაშუადღეევის პირველ საათამდინ.

ჩაის მაღაზია

## ვ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალაევინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **მრეკვნის მაიდანზე, ტერასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

**რაჭდენ ბედინიძე**

**მასწავლებელს ქალს** ჰსურს აიყვანოს უმაწვილები მოსამზადებელად პირველის და მეორის კლასისათვის.

Ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, საბინ--ბუსიის სახლებში, № 13.

**ბრიქოროვის წიგნის მაღაზიაში,** ქუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში, **ისყიდება იბავნი კრილოვისა,** თარგმნილი ქართულად თ. **მიხ. ბებუთოვისაგან.**

ამ დღეებში გამოვა

# ნ. ნიკოლაძის ნაწერი

პირველი წიგნი

**შინაარსი:** წინასიტყვაობა.—რასაც დასთეს—იმას მომკი.—რედაქციისაგან.—ძველი მეგობრები ახალ კანში.—ატტილის საქმე.—ომის გავლენა ევროპაზე—ომის სადღეგრძელო.—ქართული ხასიათი რუსულ წარმოდგენაში.—ჩემ მკითხველს.—ნიკო ინაშვილის სიკვდილზე.—ბავშვების მოვლა მადავასკარზე.—ცოლქმრობით ვაჭრობა.—ფელეტონისტის გოდება.

პირველი წიგნი შეადგენს პატარა ტომს 222 გვერდისას, in 16-°. ფასი ორი აბაზი.

თფილისში იყიდება უფ. ბრიქოროვის (Кавказская книжная торговля) და ვართანოვის წიგნების მაღაზიებში, ხიდთან. ქუთაისში—ს. ჩომახიძესთან, სტამბაში.

ქალაქის გარეშე მცხოვრებმა ამ ადრესზე უნდა მიიქცენ: Въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю, у Михайловскаго моста, въ домѣ А. Зубалова.


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| უვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| უვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სილნალს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

### ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| | კაპ |
|---|---|
| წიგნის გაგზავნა რუსეთში | |
| და სამზღვარ გარეთ: | |
| ღია წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 28 გიორ. | | |
| ერთი ინგლისი ლირის: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 252 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | 50 |
| მოგებიანი(პირველისა) | 221 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 215 | 50 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| ფილ. საზნ, ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5%) | 85 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზღვ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. ს. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

### მაზანდა

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 2 ქრისტეშ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფუ. | 7 | — |
| —მარაქამისა ფუ. . | 3 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ძონი, ფუთი. . . | 6 | 80 |
| ძონის სანთელი ფუთი. | 10 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 15 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 60 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროკ. ფუთი . | 10 | — |
| —ფხვნილი ფუთი . . | 8 | — |
| ეკა გრეგალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 18 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Декабря 1877 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.